საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34** **ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87** **ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ევროპული ფილოლოგია** **(მოდულები: ინგლისური ფილოლოგია / გერმანული ფილოლოგია / ფრანგული ფილოლოგია)** **European Phylology (English Philology / German philology / French Philology)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	• **ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი** (მოდული: ინგლისური ფილოლოგია); • **გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი** (მოდული: გერმანული ფილოლოგია); • **ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი** (მოდული: ფრანგული ფილოლოგია); • **MASTER IN ENGLISH PHILOLOGY (English Philology)** • **MASTER IN GERMAN PHILOLOGY (German philology)** • **MASTER IN FRENCH PHILOLOGY (French Philology)**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**120 კრედიტი** (ECTS) **ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 90 კრედიტი:** ➢ 50 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; ➢ 40 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; ➢ 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის (სავალდებულო) შესრულება. **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: 1. სპეციალობაში და 2. შესაბამის უცხო ენაში (B2 დონე). წერითი გამოცდა სპეციალობაში (შესაბამისი მიმართულების მიხედვით) ტარდება შემდეგ საგნებში (სასპეციალიზაციო მოდულის შესაბამისად): 1. ინგლისური /გერმანული /ფრანგული ენის **ლექსიკოლოგია;** 2. ინგლისური/გერმანული/ფრანგული **ენის სტილისტიკა;** 3. ინგლისური /გერმანული /ფრანგული **ენის ისტორია;** 4. ანგლო–ამერიკული/გერმანული/ფრანგული **ლიტერატურის ისტორია.** ➢ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** 1. მაგისტრანტს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ინგლისური/ფრანგული/გერმანული ფილოლოგიის, ზოგად ფილოლოგიურ (ლინგვისტურ და ლიტერატურულ)

	სფეროებში; აუმაღლოს ენობრივი კომპეტენციები არანაკლებ C 1-2 დონისა. 2. განუვითაროს კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის, ინტერპრეტაციის, სათანადო დასკვნების გამოტანის, ევროპულ ფილოლოგიაში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებისა და სხვებისთვის გაცნობისა და გაზიარების უნარები გამჭვირვალობისა და სარგებლიანობის უზრუნველსაყოფად. 3. გამოუმუშაოს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები და მოამზადოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის შექმნასთან დაკავშირებული რთული ამოცანების გადაჭრისთვის. 4. მოამზადოს ფილოლოგიის თანამედროვე დარგებში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, მრავალმხრივ განვითარებული, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი ღრმად და სისტემურად გაიაზროს და პრაქტიკაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა; აწარმოოს წარმატებული ინტერკულტურული კომუნიკაცია და ინტერკულტურული დიალოგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს. 5. განუვითაროს უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, კონკურენციის გაწევის, ინოვაციებისთვის ღიაობის, ეთიკური ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების პატივისცემის უნარები.
სწავლის შედეგები	1. განსაზღვრავს, აღწერს და მიმოიხილავს სამიზნე ენის (ინგლისური; ფრანგული; გერმანული) შესაბამის ენობრივ/ ლიტერატურათმცოდნეობის საკვანძო და აქტუალურ თემებსა და უახლეს პრობლემატიკას, კვლევის უახლეს მეთოდებსა და თანამედროვე მიდგომებს; 2. ავლენს დარგობრივი სფეროს (ენათმეცნიერულ; ლიტერატურათმცოდნეობით; კულტურულ) უახლესი თეორიული საკითხების ღრმა და სისტემურ ცოდნას. 3. იყენებს სამიზნე ენას (ინგლისური/ ფრანგული/გერმანული) როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს, სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისთვის; იყენებს დარგისთვის სპეციფიკურ მეთოდებს, სწორად განსაზღვრავს თავისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზებს. 4. ავლენს პრობლემის გადაჭრის, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის, ეფექტიანი კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და ინტერაქციის უნარებს შესაბამისი გარემოს, კულტურათშორისი განსხვავებების და კულტურათა თავისებურებების გათვალისწინებით. 5. კრიტიკულად გაიაზრებს და აანალიზებს სამიზნე ენასთან მათ ისტორიულ კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და უახლეს მიღწევებს. 6. აანალიზებს ინფორმაციას, ახდენს მის სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან.

	7. ავლენს სათანადო დასკვნების გამოტანის და შეძენილი უნარ–ჩვევების მიხედვით პროფესიული საქმიანობის წარმართვის უნარს. 8. ეყრდნობა ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს, ქართულ და დასავლურ კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს; იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს და მოქმედებს ტოლერანტული მიდგომებით; ეთიკური ნორმების დაცვით კეთილსინდისიერად ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას. 9. აღიარებს უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას. ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს ევროპული ფილოლოგიის დარგობრივი ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში.
შეფასები წესი	ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F. A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით,რომელიც მოიცავს • **რეცენზენტის შეფასება** - მაქსიმუმ 40 ქულა • **კომისიის შეფასება** - მაქსიმუმ 60 ქულა სამაგისტრო ნაშრომი ფასდება შესაბამისი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით.
საკონტაქტო პირ(ებ)ი	• **ნინო დვალიძე - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი;** • **თეა შავლაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;** • **ივდით დიასამიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.**